

# შავი ზღვის ფსკერის სკანირება გეოფიზიკური მეთოდებით

ლუკა ადიკაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტზე გეოფიზიკაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები  
(მიმართულება - გეოფიზიკა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მიხეილ ელაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2014

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლუკა ადიკაშვილი

## აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი შეეხება საქართველოს ტერიტორიულ წყლებში შემავალი შავი ზღვის შელფის გეოფიზიკური მეთოდებით კვლევას.

კაცობრიობის ისტორიაში შავი ზღვა ერთ-ერთი ადრე მოხსენიებული და არქეოლოგიურად მდიდარი ზღვაა. მისი შელფური ნაწილის არქეოლოგიურ ფასეულობაზე მიუთითებს უკრაინის, ბულგარეთის თუ თურქეთის სანაპირო წყლებში ნაპოვნი არაერთი საკვლევად საინტერესო შელფური ფსკერი.

ჩვენ შევეცადეთ თანამედროვე გეოფიზიკური მეთოდებით, რომლებიც საქართველოს სანაპიროზე სულ ახლახანს გამოჩნდა, გვეპოვნა და გამოგვეკვლია საქართველოს სანაპირო წყლებში არსებული ანთროპოგენული ობიექტები.

## **Abstract**

Following master thesis refers to a geophysical survey of the Black Sea shelf within the territorial waters of Georgia.

The Black Sea is one of the earliest mentioned seas in the history of mankind as well as it is among the richest of underwater archaeological sites. Various interesting survey sites found on the shelf of Ukraine, Bulgaria or Turkey justify the latter.

Our goal was to locate and study the anthropogenic units in the Georgian coastal waters. The task was carried out using modern geophysical equipment that only recently appeared in the area.